# სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | **შპს** „თბილისის საერთაშორისო სკოლა" |
| საიდენტიფიკაციოკოდი | 200073623 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | ვაკე-საბურთალო |
| მისამართი | ქალაქი თბილისი, სოფელი ზურგოვანი, თავისუფლების ქუჩა N10. |
| საფოსტო ინდექსი | 0159 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | tis.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | info@tis.ge |
| ტელეფონი/ფაქსი | 595437799 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელი და გვარი | მარგარითა კუპრასვილი |
| ტელეფონი | 595924499 |
| ელ-ფოსტა | maia.saunje@gmail.com |
| **დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 36 |
| სერტიფიცირებული პედაგოგი | 11 |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | 205/0 |
| **ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| გადაწყვეტილების ნომერი | N138, 2016 წლის 30 ნოემბერი |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 230 |

**ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი**

## I. საგანმანათლებლო პროგრამები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

**1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას**

| | |
|---|---|
| აღწერა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს „თბილისის საერთაშორისო სკოლის" მისიაა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას.<br><br>შპს „თბილისის საერთაშორისო სკოლამ" წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 10.09.2018 წელს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღი (1-ლი ოქტომბერი) განსხვავდება ზოგადი განათლების შესახებ კანონით დადგენილი სწავლის დაწყების თარიღისაგან (15 სექტემბერი). სწავლის დაწყების თარიღის ცვლილების შესახებ დაწესებულებას სჭირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ნებართვა. (ზოგადი განათლების კანონი თავი II, მუხლი 7[1]). აღნიშნული ნებართვის მისაღებად დაწესებულებას სამინისტროსთვის არ მიუმართავს.<br><br>მიმდინარე სასწავლო წელი სკოლაში დაიწყო 01.10.2018 წელს და დასრულდება 14.06.2019 წელს. სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილია, როდის მოხდება გაცდენილი საათების ანაზღაურება (ათი სასწავლო დღე). გაცდენილი სასწავლო დღეების ანაზღაურება ხდება დეკემბერში ხუთი სასწავლო დღე შაბათს, ხოლო ხუთი სასწავლო დღე მარტში (8-15 მარტს).<br><br>შპს „თბილისის საერთაშორისო სკოლის" სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: სკოლის მისია, სკოლის სასწავლო წლის კალენდარი, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა, სასკოლო საათობრივი ბადე, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრები, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების, გადახედვის პროცესი და ხარისხის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფა.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმას ახლავს შემდეგი დანართები: 2018-2019 სასწავლო წლის კალენდარი, გაკვეთილების განრიგი, სასკოლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/ დონეებისა და საგნების მიხედვით, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სასწავლო პროგრამები, შეფასების რუბრიკები კლასის დამრიგებლებისათვის.<br><br>სკოლამ წარმოადგინა საგნის თემატურ-კალენდარული გეგმები, სადაც განსაზღვრულია თემის სწავლების მიზნები და შედეგები. დათმობილი საათებისა და სასწავლო მეთოდების ჩამონათვალი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილია საგნები, რომლებიც შეთავაზებულია დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით; კერძოდ:<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურება უფასო წრის სახით: ბიოლოგიის წრე, ქიმიის წრე, მათემატიკის წრე;<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი მომსახურება სავალდებულო სახით: ზოგადი უნარები (V-XII კლასებში), Art-თერაპია (I-IV კლასებში), ქართული ხალხური ცეკვები (I კლასში);<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი მომსახურება უფასო წრის სახით: გახანგრძლივებული სწავლების წრე და ქართული ხალხური ცეკვების წრე (II-IV კლასებში);<br><br>სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კლუბებს: სამოქალაქო განათლების კლუბი და საქველმოქმედო კლუბი.<br><br>სკოლაში მეორე უცხოური ენის (რუსული ენა) სწავლება იწყება მესამე კლასიდან და შეთავაზებულია როგორც სავალდებულო საგანი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში (სავალდებულო III-IV კლასები). |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმას ერთვის დამატებითი სავალდებულო მომსახურეობის ფარგლებში შეთავზებული საგნების პროგრამები, რომლებშიც აღწერილია სასწავლო კურსის მიზანი, ამოცანები, შეფასების ფორმები და საჭირო საგანმანათლებლო პრინციპების ჩამონათვალი. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია არჩევითი მომსახურების ფარგლებში შეთავაზებული კურსების პროგრამებიც.<br>გახანგრძლივებული სწავლების წრე მუშაობს I-VIII კლასებში და ფუქნციონირებს ძირითადი გაკვეთილების დასრულებიდან 17:05 საათამდე. სკოლა ბავშვებს უზრუნველყოფს დასვენებითა და კვებით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილია საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, თითოეული საგნისათვის დამხმარე წიგნები და ელექტრონული რესურსები.<br>სკოლაში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი საგანი. სკოლის მისიის მიღწევის უზრუნველსაყოფად ინგლისური ენა ისწავლება გაზრდილი საათობრივი დატვირთვით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში ვიზიტის მიმდინარეობისას დაზუსტდა სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობები საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის: მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ჩოგბურთი.<br>2018-2019 სასწავლო წელს ისწავლება არჩევითი საგნები მსოფლიო კულტურა - X კლასში, მითოლოგია და ფოლკლორი - XI კლასში, სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა - XII კლასის პირველ სემესტრში. |
| დადასტურება/დანართი | • შპს „თბილისის საერთაშორისო სკოლის" სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• ინტერვიუები |
| შეფასება | დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა" პუნქტი |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ,**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

<table>
<tr><td>აღწერა</td><td>სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი ექვსი საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, მათემატიკის კათედრა, უცხოური ენების კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, სპორტისა და ესთეტიკის კათედრა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა;<br><br>სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულებები და 2018-2019 სასწავლო წლის კათედრების სამუშაო პროგრამები დამტკიცებული დირექტორის მიერ. კათედრებს განსაზღვრული აქვთ თითოეული საგნისათვის შემაჯამებელი დავალების რაოდენობა და ჩატარების ვადები.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია. წარმოებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რისთვისაც შემუშავებულია საერთო ფორმა: განსაზღვრულია სტანდარტის ის ინდიკატორები, რის შემოწმებასაც ისახავს მიზნად შემაჯამებელი დავალება, წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუში და შეფასების რუბრიკა, მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია საჭიროებები და შემუშავებულია რეკომენდაციები. შემაჯამებელი დავალების ტიპები მრავალფეროვანია.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამები, რომლშიც აღწერილია დამრიგებლის მუშაობის პრინციპები და დამრიგებლის მოვალეობები. დამრიგებლის პორტფოლიოებში წარმოდგენილია დამრიგებლის მუშაობის გეგმები და ანგარიშები.<br><br>მასწავლებლებისა და კათედრის პორტფოლიოებში (ელექტრონული სახით) წარმოდგენილია საგნის თემატურ-კალენდარული გეგმები და შეფასების რუბრიკები.</td></tr>
<tr><td>დადასტურება/დანართი</td><td>• სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• კათედრის პორტფოლიოები ელექტრონულად<br>• დამრიგებლის ჟურნალები<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები<br>• შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა</td></tr>
</table>



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი |

**1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს ინკლუზიური განათლების შესახებ და გამოხატავს მზაობას შექმნას ხელსაყრელი პირობები ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის. ვიზიტის განხორციელების დროს სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხებოდა. სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილია სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში მოქმედების სტრატეგია. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი |

**1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალების აღდგენის პირობები. 2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში საგნის წლიური გამოცდები არ ტარდება.<br>კათედრის ელექტრონულ პორტფოლიოებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით სხვადასხვა აქტივობებისათვის.<br>შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეებისათვის. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• მასწავლებლის პორტფოლიოები;<br>• კათედრის პორტფოლიოები;<br>• ინტერვიუები; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი |

**1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

| | |
|---|---|
| აღწერა | მშობლის ინფორმირების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში. მშობელს შეუძლია დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით გაეცნოს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევის წესის, გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების შესახებ და სხვ. მშობლის ინფორმირების მიზნით გამოიყენება დაწესებულების ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი, დაწესებულების განცხადებების დაფა და სხვ.<br><br>დამრიგებლები უზრუნველყოფენ მშობლების ინფორმირებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და საჭიროებების შესახებ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და პირადი შეხვედრების მეშვეობით. |
| დადასტურება/დანართი | • შინაგანაწესი;<br>• ინტერვიუები;<br>• ვებ-გვერდი; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი |

**1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურები. ხარისხის შეფასებაზე პასუხიმგებელობა ეკისრება სკოლის მენეჯმენტსა და ხარისხის მართვის მენეჯერს. პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვით და ინტერვიურებით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირება ან/და მასწავლებელთან შედეგების განხილვა.<br>ხარისხის მართვის მენეჯერის ვალდებულებაა სემესტრიში მინიმუმ ერთხელ უზრუნველყოს დაწესებულების პერსონალის, მოსწავლეების, მშობლების პერიოდულად გამოკითხვა წინასწარ დამტკიცებული გამოკითხვის ფორმების მეშვეობით და შედეგების საფუძველზე შეიმუშავოს რეკომენდაციები სასკოლო სასწავლო გეგმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.<br>დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული გამოკითხვის ამსახველი დოკუმენტაცია. |
| დადასტურება/დანართი | • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დირექტორის ბრძანება N181 06.09.2017<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასების კითხვარების და ხარისხის მექანიზმების დამტკიცების შესახებ<br>• ხარისხის მართვის მენეჯერის პორტფოლიო |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი. ვ) შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## II. მატერიალური რესურსი

**2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

**ა) ერთმისამართზეარსებულისაერთოფართი:**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა ფუნქციონირებს შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფელი ზურგოვანი, თავისუფლების ქუჩა N10. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა N1 **(მშენებარე)** საერთო ფართი (კვ.მ.).: 3491.2., საოფისე ფაერთობი (კვ.მ).: 97.2. საზაფხულო ფართობი (კვ.მ). :18.0. სარდაფის ფართობი (კვ.მ.).: 383.4. კიბის უჯრედისა და სადარრბაზოს ფართობი (კვ.მ).: 179.2. ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 2500.00 კვ.მ. მიწის საკადასტრო კოდი N 01.72.14.014.832.<br><br>საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 10 წლით შპს თბილისის საერთაშორისო სკოლასთან (200073623) 16/11/2018. მესაკუთრე: მარგარითა კუპრაშვილი (პ/ნ 01002009409). დაზუსტებული ფართობი 2500 კვ.მ.<br><br>სკოლის ტერიტორია მთლიანად არ არის შემოსაზღვრული. სკოლის დირექცია მომავალში გეგმავს მოსაზღვრე მიწის ნაკვეთის ყიდვას და იქ საცურაო აუზის აშენებას. 2018 წლის 30 ივლისს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან და გადაირიცხა 1000 ლარი ავანსი 3 მ სიმაღლის ბეტონის ღობის აშენებლად. სამუშაოების დასრულება იგეგმება არაუგვიანეს 2019 წლის 15 იანვრისა. |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | 01.72.14.014.832. |
| | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;<br>• იჯარის ხელშეკრულებით;<br>• შენობის აზომვითი ნახაზით; |
| შეფასება | **დარღვეულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**ბ) საკლასოოთახები, აღჭურვილია სათანადოინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში 13 საკლასო ოთახია, ასევე არის ერთი კომპიუტერული, ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ამ ლაბორატორიებში განთავსებულია მე-7 და მე-12 კლასები. საკლასო ოთახებში განთავსებულია 204 მერხი და სკამი. 26 კომპლექტი დასაწყობებულია. ამასთან ერთად საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდითა და სკამით და სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით - რუკებით, პლაკატებით, დამხმარე ცხრილებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შესყიდვის დოკუმენტაციით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობებია ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. სპორტის გაკვეთილები ტარდება იმავე შენობაში სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. უნივერსალური (სპორტული + სააქთო) დარბაზის ფართობია - 130 კვ.მ. დარბაზი აღჭურვილია სხვადასხვა სპორტული ინვენტარით: ჩოგბურთის მაგიდები, ლეებები, ბურთები, ბადბინტონ, მხიარული სტარტის სათამაშო ინვენტარი და სხვა. ასევე გაკვეთილები ტარდება სკოლის ეზოში. დირექციის განმარტებით მიმდინარე წლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | მაისამდე სკოლის ეზოში გაკეთდება ღია სპორტული ფეხბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, კალათბურთის მოედანი და შემდეგი სასწავლო წლის დასაწყისამდე სკოლის ეზოში აშენდება საცურაო აუზი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება<br>• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიულ კლასში. იმავე ოთახში განთავსებულია მე-12 კლასი. ქიმიური რეაქტივები ინახება მომიჯნავე დაცულ ოთახში. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება<br>• კომპანია „ჯეოდეკორ"-თან გაფორმებული ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტისისტემა, სველიწერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, შენობის გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემით. შენობის ყველა სართულებზე არის სველი წერტილები. ორი სველი წერტილი ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეზე. თითოეული საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლას ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • .ვიზუალური დათვალიერება<br>• ინტერვიუები<br>• კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია ანბანური და სისტემური კატალოგის მიხედვით. წიგნების საინვენტარო ჟურნალის მიხედვით ბიბლიოთეკაში არის სულ 3245, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელო - 404, მხატვრული ლიტერატურა -700,საბავშვო -161. ინგლისურ ენაზე - 532, ფრანგულ ენაზე - 160, რუსულ -58. ასევე ბიბლიოთეკაშია 130 ვიდეო, ჟურნალ-გაზეთები -190, 146 მეთოდური ლიტერატურა და სხვა. ბიბლიოთეკაშია ყველა კლასის და ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების კომპლექტები, რომელიც სასაკოლო სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ბიბლიოთეკის დებულება<br>• ბიბლიოთეკის კატალოგი<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლის შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, გარდა ამისა, სკოლაში ორი სველი წერტილი ადაპტირებულია ამ კატეგორიის პირთა საჭიროებისათვის. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

| 2.5 | **სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათშორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას** |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კერძოდ 15 კომპიუტერი რომლებიდანაც 10 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, დანარჩენი ადმინისტრაციის გამოყენებაშია. ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტში. ასევე 5 ლეპტოპი საგაკვეთილო პროცესისათვის.<br>სკოლას აქვს ვებგვერდი tis.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და სკომუნიკაციო ფუნქციას. ამავე მიზნებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს facebook-ს. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის ვებ გვერდი tis.ge<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი**

| | |
|---|---|
| აღწერა | შენობაში დამონტაჟებულია ხანძრის (კვამლის) აღმოჩენის დეტექტორები. ყველა სართულზე არის შსს საგანგებო სიტუაციების სამსახურის სამსახურის მიერ გაკეთებული საევაკუაციო გეგმა და ყველა სართულზე არის საჭირო რაოდენობის ცეცხლმაქრები (მთელ შენობაში - 8 ცალი). სკოლას შემუშავებული აქვს „საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. (ბრძანება N20, 10.09.2018).ასევე სკოლის დირექტორის N21 ბრძანება 10.09.2018 წ. „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ". სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან შპს „მაგისტრი" |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის დირექტორის 10.09.2018 წლის ბრძანება N20<br>• სკოლის დირექტორის 10.09.2018 წლის ბრძანება N21<br>• ვიზუალური დათვალიერება<br>• 11 ნოემბერი 2018 წლის ხელშეკრულება N1428 დაცვის სამსახურთან შპს „მაგისტრი" |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა**

| | |
|---|---|
| აღწერა | საევაკუაციო გეგმები გამოკრულია დერეფნებში, თვალსაჩინო ადგილას. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმის დასამზადებლად |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................

| | |
|---|---|
| | • შესყივის დოკუმენტაცია |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის დირექტორის 12.09.2016 წლის ბრძანება N155-ში „სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლაში არის ექიმის კაბინეტი, რომელშიც არის შექმნილი ყველა აუცილებელი პირობა პირველადი დახმარების გასაწევად. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება<br>• სკოლის დირექტორის 12.09.2016 წლის ბრძანება N155 |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის დირექტორის 12.09.2016 წლის ბრძანება N155-ში „სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. |
| დადასტურება/დანართი | • დირექტორის N78 2018 წლის 8 სექტემბრის ბრძანება |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლისში და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი, სადაც ორი გარე კამერაა დამონტაჟებული (კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. გარე პერიმეტრს ასევე აკონტროლებს კიდევ 3 კამერა. სკოლის შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 12 კამერა. |
| დადასტურება/დანართი | • კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფაშსურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს დებულება, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკის დებულება, ხარისხის მართვის სამსახურის უზრუნველყოფის მექანიზმები, სამედიცინო სამსახურის დებულება, მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დებულება რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება დაწესებულების საქმიანობისა დაგეგმვა და წარმართვა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | სკოლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გლდანულა, 59-ე საშუალო სკოლა, ინდექსი 0154. რეალობაში ასეთი მისამართი არ არსებობს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეცვალოს იურიდიული მისამართი. |
| დადასტურება/დანართი | • შინაგანა წესი<br>• ბიბლიოთეკის დებულება,<br>• ხარისხის მართვის სამსახურის უზრუნველყოფის მექანიზმები,<br>• სამედიცინო სამსახურის დებულება,<br>• მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დებულება |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების (ექვსწლიანი 2016-2022 წლების) გეგმა, რომლის პრეამბულაშიც ჩაწერილია, რომ „სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2016-2022 წლებს. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. შპს ,,თბილისის საერთასორისო სკოლის'' ძირითადი მიზნები და ამოცანებია:<br>1. სკოლის მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესება. მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგება;<br>2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება;<br>3. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;<br>4. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | საშუალებებით.<br>5. თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება;<br>6. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;<br>7. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;<br>8. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება.<br>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზების მიზნით, სკოლაში:<br>1. შეიქმნება, დაიხვეწება დ აგანვითარდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა;<br>2. პერიოდულად დაიხვეწება სკოლის ვებ-გვერდი და განხორციელდება მისი მუდმივი განახლება, დაიბეჭდება სკოლის საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტები და ბანერი;<br>3. განახლდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაცემების ელექტრონული ბაზა;<br>4.განხორციელდება სკოლის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების შექმნა და დაარქივება;<br>5. მოხდება სკოლის მონაცემთა ბაზის ელექტრონულ ფორმატში ორგანიზება; |
| დადასტურება/დანართი | • სტრატეგიული განვითარების 6 წლიანი გეგმა<br>• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა<br>• SWOT ანალიზი |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. დაწესებულება აწარმოებს შემდეგი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | | |
|---|---|---|
| | | სახის დოკუმენტაციის აღრივხვას:<br>1. შემოსული კორესპონდენცია;<br>2. გასული კორესპონდეცია;<br>3. საკადრო ბრძანებეი;<br>4. საერთო ბრძანებეი;<br>5. შრომითი ხელშეკრულების;<br>6. პედსაბჭოს ოქმები;<br>7. ანბანური წიგნი.<br>გარდა ამისა წარმოებს თანამშრომლებთან და მოსწავლის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები.<br>ჟურნალები არ არის ზონარ გაყრილი და ბეჭედ დარტყმული |
| | დადასტურება/დანართი | • შემოსული კორესპონდენციის წიგნი<br>• გასული კორესპონდეციის წიგნი<br>• საკადრო ბრძანებების წიგნი<br>• საერთო ბრძანებების წიგნი<br>• შრომითი ხელშეკრულების აღრიცხვის ჟურნალი<br>• პედსაბჭოს ოქმების წიგნი<br>• ანბანური წიგნი. |
| | შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ. |

## III. ადამიანური რესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში გათვალისწინებულია 19 საშტატო ერთეული 15 პოზიციაზე: დირექტორი, დირექტორის მოადგილე - 2, ბიბლიოთეკარი -3, იურისტი -1, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი -1, ექიმი/ექთანი -1, ფსიქოლოგი -1, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი - 1, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი -1, ბუღალტერი - 1, საქმისმწარმოებელი -1, დირექტორის თანაშემწე - 1, ბუფეტის მენეჯერი -1, დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - 2, დამლაგებელი -1.<br>სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე -2, 36 მასწავლებელი, გახანგრძლივებული ჯგუფის 5 პედაგოგი, ბუღალტერი, ბუღალტრის თანაშემწე, ბიბლიოთეკარი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ფსიქოლოგი, ექიმი, ბუფეტის მენეჯერი. |
| დადასტურება/დანართი | • საშტატო განრიგი |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი. |

**3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br>სკოლაში მუშაობს 36 მასწავლებელი. 35 მასწავლებელი ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. მათგან 24 მასწავლებელი პრაქტიკოსია, 10 - უფროსი, 1 - წამყვანი.<br>ჭადრაკის მასწავლებელი არ არის ჩართული სქემაში. მას აქვს ჭადრაკის სწავლების |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | კომპეტენცია. (ჭადრაკის დიდოსტატი) |
| დადასტურება/დანართი | • EMIS-ის მონაცემთა ბაზა დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების შესახებ;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით. |

**3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დასანიშნ პირთა მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს.<br>სკოლის შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები.<br>შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე წახალისების ფორმებს. |
| დადასტურება/დანართი | • პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება N144, 20.08.2016<br>• შინაგანაწესი N149 07.09.2016 |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით. |

**3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

| | |
|---|---|
| | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში თანამშრომლებთან დადებულია ხელშეკრულება. თანამშრომლების პირად საქმეებში სკოლა მოითხოვს შემდეგ საბუთებს: განცხადება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, CV, განათლების მიღების დამადასტურებელი საბუთი, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის მოწმობის ასლი, ფოტოსურათი 3x4. ყველა ხელშეკრულება დადებულია კანონდებლობის შესაბამისად. |
| დადასტურება/დანართი | • შრომითი ხელშეკრულებები<br>• შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტით. |

**3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი, ჭადრაკის პედაგოგის გარდა, ჩართულია მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.<br>სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე შპს „ლიბო MNT" -სთან. მემორანდუმით გათვალისწინებულია ონლაინბიბლიოთეკების ურთიერთგამოყენება, ლიტერატურის გაზიარება, ლექცია-სემინარების ჩატარება, კონფერენციების ორგანიზება, პედაგოგთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამების, სემინარების, ტრენინგებისა და კურსების განხორციელება და სხვ. |
| დადასტურება/დანართი | • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ლიბოსთან" 27.02.2018 წ. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................

| | |
|---|---|
| | N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით. |

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში დასაქმებული სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობათა გამოვლენის ხელშეწყობა.<br>სკოლა ხშირად გეგმავს სპორტულ, აღმზრდელობით ღონისძიებებს და ექსკურსიებს რომლებშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა კატეგორიის წევრი - მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი. სამივე კატეგორიასთან შედგა გასაუბრება, ისინი აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არის დაცულობისა და კეთილგანწყობის ატმესფერო. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესი<br>• ინტერვიუები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით. |

**თანდართული დოკუმენტაცია**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| სულ დანართი | - |

თბილისი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................